FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ახალგაზრდობის კვლევის შედარებითი ანალიზი 2023

სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

ახალგაზრდობის კვლევის შედარებითი ანალიზი 2023
სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის ქუჩის ჩიხი 1, #1, 0179
https://southcaucasus.fes.de/

ინფორმაცია გამომცემელთათვის
მარსელ როტიგ (FES), სალომე ალანია (FES)
georgia@fes.de

ავტორი
რატი შუბლაძე

თარგმნა
მარიამ ზუბაშვილი

ყდაზე გამოყენებული გრაფიკა:
© Vecteezy.com

პუბლიკაცია ინიცირებულია და დაფინანსებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) მიერ.პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე.

© Friedrich-Ebert-Stiftung 2024

ახალგაზრდობის კვლევის
შედარებითი ანალიზი 2023
სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

სარჩევი

ძირითადი მიგნებები ---------- 3

შესავალი ---------- 5

მეთოდოლოგია ---------- 7

ახალგაზრდების დასაქმება, შინამეურნეობა და
საცხოვრებელი გარემო ---------- 8

დემოკრატია და მმართველობა ---------- 12

ახალგაზრდები და საგარეო პოლიტიკა ---------- 17

დამოკიდებულებები რეგიონში მიმდინარე
კონფლიქტების მიმართ ---------- 21

დასკვნები ---------- 23

ძირითადი მიგნებები

- 2022 წლის მაისი-ივლისის პერიოდში ჩატარებული კვლევის მიხედვით, 14-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში მიიჩნევს, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა გარშემომყოფებისა თუ საქართველოში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობის მდგომარეობის მსგავსია. შვიდ ქულიან სკალაზე სუბიექტური შეფასებისას, სომხეთში (4.7) და აზერბაიჯანში (4.5) მცირედით უფრო მაღალი ქულით აფასებენ საკუთარ კეთილდღეობას, ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით (4.08).

- მშობლებისგან მიღებული ფინანსური დახმარება და საკუთარი შემოსავალი ძირითადი საარსებო წყაროებია ახალგაზრდებისთვის სამხრეთ კავკასიაში. საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით (38%), აზერბაიჯანსა (51%) და სომხეთში (49%) მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო ხშირად აქვთ შემოსავლის საკმარისი და ავტონომიური წყაროები. იგივე ტენდენცია იკვეთება ზრდასრულობას (18 წლის და უფროსი ასაკის) მიღწეულ ახალგაზრდებში. ამასთან, მამაკაცებთან შედარებით, ქალებს ნაკლებად აქვთ საკუთარი შემოსავალი.

- საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობა ყველაზე მაღალია საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის (43%), სომხეთსა (38%) და აზერბაიჯანთან (26%) შედარებით. თუ სომხეთსა და აზერბაიჯანში ახალგაზრდების თითქმის ნახევარია დასაქმებული რაიმე ფორმით (48% და 50%, შესაბამისად), საქართველოში ეს მაჩვენებელი 35 პროცენტია.

- საქართველოსა (31%) და სომხეთში (31%) მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი ამჟამად არც განათლებას იღებს, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული,არც მუშაობს (NEET), აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდების 25% შედარებით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია გენდერული ნაპრალი, ზემოთ აღნინშნულ საქმიანობაში ჩაურთველი ქალების მაჩვენებელი (female NEETs) მაღალია სამივე ქვეყანაში. სომხეთსა და საქართველოში ამ სახის ჩაურთველობა (NEETs) იზრდება ასაკთან ერთადაც.

- ახალგაზრდებს, ზოგადად, დადებითი დამოკიდებულებები აქვთ დემოკრატიის მიმართ. დემოკრატიას ემხრობა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების 75%, აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდების 54%, და სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდების 51%. ამის მიუხედავად, აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდები (28%) გარკვეულწილად სკეპტიკურად არიან განწყობილები დემოკრატიის, როგორც მმართველობის საუკეთესო სისტემის მიმართ.

- ახალგაზრდები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ნაკლებ არიან დაინტერესებულნი პოლიტიკით. პოლიტიკით დაინტერესების მაჩვენებელი სომხეთში 40 პროცენტია, აზერბაიჯანში - 46%, საქართველოში კი - 38%. ამასთან, ბევრი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები საკმარისად არ არის წარმოდგენილი პოლიტიკაში. ამ მოსაზრებას სომხეთში ახალგაზრდების 65% იზიარებს, საქართველოში - 63%, აზერბაიჯანში კი - 30%. დაბალია ინსტიტუტების მიმართ ნდობაც. 30 ქულიან სკალაზე, რომელზეც 0 - სრული

უნდობლობის, 30-კი მაღალი ნდობის მაჩვენებელია, ინსტიტუტების მიმართ ნდობის მაჩვენებელი სომხეთში 10.7-ია, საქართველოში - 11.7, აზერბაიჯანში კი - 16.2. მამაკაცებთან შედარებით, ქალები ინსტიტუტების მიმართ მცირედით უფრო მაღალი ნდობით გამოირჩევიან.

- საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) მიიჩნევს, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა. ახალგაზრდები სომხეთსა (30%) და აზერბაიჯანში (26%) ნაკლებად მიიჩნევენ საკუთარ ქვეყნებს ევროპულად.სომხეთსა (8%) და აზერბაიჯანში (9%) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, ახალგაზრდები საქართველოში უფრო მეტად მიიჩნევენ თავს ევროპელებად (41%).

- აზერბაიჯანელი რესპონდენტების 89% ქვეყნის უახლეს მოკავშირედ თურქეთს მიიჩნევს. საქართველოში ახალგაზრდებს მრავალფეროვანი მოსაზრებები აქვთ, - 28% უახლეს მოკავშირედ უკრაინას მიიჩნევს, 18% კი - ამერიკის შეერთებულ შტატებს. სომხეთში ახალგაზრდების 50% ქვეყნის უახლეს მოკავშირედ რუსეთს მიიჩნევს (უნდა აღინიშნოს, რომ საველე სამუშაოები 2022 წლის გვიან გაზაფხულსა და ადრე ზაფხულის პერიოდში ჩატარდა, ბლოკადასა და 2023 წლის სექტემბერში ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებამდე).

- 2022 წლის შუა პერიოდამდე, სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობდა სომხეთის ეროვნულ უსაფრთხოებას (49%) და ეკონომიკურ განვითარებას (34%). აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (86%) და ეროვნულ უსაფრთხოებას (90%) ხელს შეუწყობს თურქეთთან თანამშრომლობა. საქართველოს შემთხვევაში, მსგავსი დამოკიდებულებებია ევროპული ქვეყნებისა (ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (58%) და ეროვნულ უსაფრთხოებას (59%)) და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ (ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (42%) და ეროვნულ უსაფრთხოებას (39%)) (უნდა აღინიშნოს, რომ საველე სამუშაოები 2022 წლის გვიან გაზაფხულსა და ადრე ზაფხულის პერიოდში ჩატარდა, ბლოკადასა და 2023 წლის სექტემბერში ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებამდე).

- საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ეროვნული ღირებულებებისთვის (72%), უსაფრთხოებისთვის (78%), სახელმწიფოებრიობისთვის (84%) და ეკონომიკური სისტემისთვის (74%) მთავარ საფრთხედ რუსეთს მიიჩნევენ. აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდები მთავარ საფრთხედ სომხეთს მიიჩნევენ, სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდებს აზრი კი იყოფა - ნაწილი მთავარ საფრთხედ აზერბაიჯანს ასახელებს, ნაწილი კი - თურქეთს.

- 2022 წელს, საველე სამუშაოების მიმდინარეობისას, სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდების 82% ეშინოდა ყარაბაღის კონფლიქტის განახლების. ეს შიშები ნაწილობრივ დაადასტურა 2023 წლის სექტემბერში ყარაბაღში განვითარებულმა მოვლენებმა. აზერბაიჯანში ახალგაზრდების 26% შიშობდა იმავეს, დიდმა ნაწილმა კი - 29% ამ კითხვას პასუხი არ გასცა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სატრანსპორტო კავშირების აღდგენის მიმართ მოსაზრებები განსხვავდება. სომხეთში ახალგაზრდების 59% ეწინააღმდეგება სატრანსპორტო კავშირების აღდგენას, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების 28% შედარებით. ორივე ქვეყანაში ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა აუცილებელია, გარდა სომხეთისა (აზერბაიჯანის შემთხვევაში) ან აზერბაიჯანისა და თურქეთისა (სომხეთის შემთხვევაში).

შესავალი

2009 წლიდან, ფრიდრიხ ებერტის ფონდი არაერთ ქვეყანაში ატარებს ახალგაზრდების კვლევას. ეს კვლევები შეისწავლის ახალგაზრდების დამოკიდებულებებს საზოგადოებრივი განვითარების მიმართ და მათ შეხედულებებს ეროვნული და გლობალური ტრანსფორმაციების კვალდაკვალ. კვლევები აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს და ტარდება ადგილობრივ კვლევით ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში კვლევების მეორე ტალღა 2022 წელს ჩატარდა, 14-29 წლის ახალგაზრდების მონაწილეობით. ამ კვლევების მიზანია გამოიკვლიოს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულებები, იმედები, რწმენები, და სამომავლო პერსპექტივები. ამასთან, კვლევები მოიცავს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორებიცაა განათლება, დასაქმება და მობილობა, ოჯახი და მეგობრები, პოლიტიკური შეხედულებები და დამოკიდებულებები.

კულტურებისა და კონტინენტების გასაყარზე მყოფი სამხრეთ კავკასიის ქვეყნები გამოირჩევა მრავალფეროვანი, მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური საზოგადოებებით. მიუხედავად ხანგრძლივი საერთო წარსულისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო სოციოეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა გზას დაადგნენ, განსხვავდება მათი საგარეო მისწრაფებები, და ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი. შედეგად, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდები ავლენენ როგორც მსგავსებებს, ისე განსხვავებებს კვლევაში გაჟღერებულ საკითხების გარშემო.

სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდების კვლევა ჩატარდა სამივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პერიოდში, რეგიონში მიმდინარე დრამატული გეოპოლიტიკური ცვლილებების, პანდემიისგან გამორკვევის, უკრაინაში რუსეთის შეჭრის, და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2023 წლის კონფლიქტის ფონზე. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახალგაზრდებზე, მათ მსოფლმხედველობაზე, რწმენებზე, დამოკიდებულებებზე, შეხედულებებზე და სამომავლო პერსპექტივებზე. ახალგაზრდებს ხშირად ცვლილებებისა და ინოვაციის სულისჩამდგმელებად მიიჩნევენ, და მართლაც მათი როლი საზოგადოებების სოციოეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში არსებითია. კრიზისებისა და დრამატული ცვლილებების დროს, მათ შეხედულებებსა და გამოცდილებებს მნიშვნელოვან წილად შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებების მომავალი.. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პერსპექტივების შესწავლა მთელ რიგ საკითხებზე, რათა უკეთ გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება დღევანდელმა ახალგაზრდებმა განსაზღვრონ მომავალი, როდესაც დაასრულებენ სოციალიზაციის და ტრანსფორმაციის გრძელ გზას, ახალგაზრდობიდან საზოგადოების სრულფასოვან წევრებამდე. ახალგაზრდების შეხედულებების შესწავლა, მათი ზრდის და ჩამოყალიბების წლებში, მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა სახელმწიფო უწყებების, აკადემიური სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, საჯარო პოლიტიკის სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ახალგაზრდა და გარდამავალი თაობების უკეთ გასაგებად.

თითოეულ ქვეყანაში ვრცელი კვლევა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ოჯახის სოციოეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება, შეხედულებები საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ, იდენტობა, ღირებულებები, დამოკიდებულებები კლიმატის ცვლილების მიმართ, სამომავლო გეგმები და წუხილები. თუმცა, წინამდებარე, სამი ქვეყნის შედარებითი ანალიზი მხოლოდ რამდენიმე საკითხზე ფოკუსირდება, მათ შორის დასაქმების, შინამეურნეობის, საცხოვრებელი პირობების, დემოკრატიის, მმართველობის, საგარეო პოლიტიკის და კონფლიქტების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებებზე. ანგარიშის ბოლო ნაწილი ეთმობა ძირითად მიგნებებსა და მათ მნიშვნელობას.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვების დიზაინი შეიმუშავა ბრიტანულმა ორგანიზაციამ R-Research, ბერლინში მდებარე „აღმოსავლეთ ევროპისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრში“ მოღვაწე დოქტორ ფელიქს კრავაცეკთან თანამშრომლობით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის თხოვნისა და მასთან მჭიდრო კონსულტაციის საფუძველზე. საკვლევი ინსტრუმენტი შემუშავდა ინგლისურ ენაზე ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიისა და ბერლინის ოფისებთან თანამშრომლობით. ინსტრუმენტი შემდეგ ითარგმნა ადგილობრივ ენებზე და დაემატა თითოეულ ქვეყანაზე მორგებული თემატური კითხვები. ნაშრომი იკვლევს აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში 14-29 წლის ახალგაზრდების დამოკიდებულებებს, შეხედულებებსა და მოსაზრებებს, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. საველე სამუშაოები ჩატარდა 2022 წლის მაისისა და ივლისის პერიოდში.[1] გამოკითხვები ჩაატარეს ადგილობრივმა კვლევითმა ორგანიზაციებმა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, 1 200, 1 605, და 1 206 რესპონდენტის მონაწილეობით, შესაბამისად. რესპონდენტები შეირჩა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის საფუძველზე, ასაკობრივი და გენდერული კვოტების გათვალისწინებით.

მონაცემთა ანალიზი იყენებს როგორც აღწერითი, ისე - ახსნითი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს. ანგარიშში წარმოდგენილია ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები. განსხვავებების შესწავლის მიზნით, გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი, რომელშიც საკონტროლო ცვლადებად დემოგრაფიული ცვლადები შედის. აღქმის გამარტივების მიზნით, ჯგუფებს შორის განსხვავებები ანგარიშში კროსტაბულაციების სახით არის წარმოდგენილი. ზოგიერთ შემთხვევაში, პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება არ დაჯამდეს 100 პროცენტად და გადახრილი იყოს 1 პროცენტით, დამრგვალების გამო.

რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, კვლევის ფარგლებში შეგროვდა თვისებრივი მონაცემებიც. თვისებრივი კვლევა მოიცავდა ფოკუს ჯგუფებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დედაქალაქებიდან. აღნიშნული დისკუსიები მოიცავდა არაერთ საკითხს, მათ შორის პირად გამოცდილებებს, პოლიტიკისა და დემოკრატიის აღქმას, მსოფლიო საზოგადოების წინაშე არსებულ ამჟამინდელ გამოწვევებს, შეხედულებებს საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ, ევროპასთან მიკუთვნებულობასა, და ემიგრაციას. დისკუსიების დროს მონაწილეებმა შეავსეს მოკლე ონლაინ გამოკითხვა, თვისებრივი მონაცემების გასაანალიზებლად დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. წინამდებარე ანგარიშში თვისებრივი კვლევის შედეგები თემატურად არის წარმოდგენილი, რაოდენობრივი კვლევის შედეგებთან ერთად.

1 საველე სამუშაოების თარიღები: 30 მაისი 2022 - 16 ივნისი 2022 სომხეთსა და საქართველოში; 8 ივნისი 2022 - 21 ივლისი 2022 აზერბაიჯანში.

ახალგაზრდების დასაქმება, შინამეურნეობა და საცხოვრებელი გარემო

სოციოეკონომიკური კეთილდღეობა და საცხოვრებელი გარემო მნიშვნელოვნად განაპირობებს ახალგაზრდების წვდომას განათლებაზე, შრომის ბაზარზე, პიროვნული განვითარების შესაძლებლობებზე, და ზოგადად, სამომავლო წარმატებაზე. აღსანიშნავია, რომ განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განაპირობებს ღირებულებითი ორიენტაციების, საჯარო ინსტიტუტების შეფასების, საგარეო პოლიტიკის აღქმის არაერთ ასპექტს. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიელი ახალგაზრდების შედარება იწყება მათი ფინანსური და ოჯახური გარემოებებიდან, რასაც მოსდევს საგანმანათლებლო სისტემასა და შრომის ბაზარზე მათი ჩართულობის შესწავლა.

სუბიექტური კეთილდღეობის შვიდ ქულიან სკალაზე,[2] სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდების უმეტესობამ თავი საშუალოზე ოდნავ მაღალ საფეხურზე მონიშნა. სომხებმა (4.7) და აზერბაიჯანელებმა (4.5), ქართველებთან (4.08) შედარებით მაღალი ქულები დაასახელეს. ახალგაზრდებს ასევე სთხოვეს შეედარებინათ თავიანთი შინამეურნეობების მატერიალური მდგომარეობა გარშემომყოფებსა და ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობასთან. სამივე ქვეყანაში, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა სხვათა მსგავსია. სომხეთში ახალგაზრდების 64% მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა გარშემომყოფების, 59% კი - სომხეთში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობის მსგავსია.[3] აზერბაიჯანის მონაცემების მიხედვითაც, ახალგაზრდების 59% მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა როგორც გარშემომყოფების, ისე ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების მსგავსია. საქართველოში ახალგაზრდების 70% მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა გარშემომყოფების, 61% კი - საქართველოში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობის მსგავსია.

ახალგაზრდების ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე მეტ ინფორმაციას გვაძლევს კითხვები საარსებო წყაროების შესახებ. სამხრეთ კავკასიაში, 14-29 წლის ახალგაზრდებს ორი ძირითადი საარსებო წყარო აქვთ: მშობლებისგან მიღებული დახმარება და საკუთარი შემოსავალი. ახალგაზრდების საარსებო წყაროების უკეთ გასაზომად შეიქმნა სამი ცალკეული ცვლადი, რომელიც ზომავს, თავად ირჩენენ თუ არა ახალგაზრდები თავს, არიან თუ არა სხვა ადამიანზე დამოკიდებულნი, და იღებენ თუ არა სახელმწიფო დახმარებას.[4] მოულოდნელი

---

2 სუბიექტური კეთილდღეობა არის თეორიული ცნება, რომელიც აფასებს საკუთარი მატერიუალური კეთილდღეობის აღქმას, მონეტარული მზომების მიღმა. შედეგების ინტერპრეტირების გამარტივების მიზნით, ცვლადი გაიზომა შვიდ ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავდა „არ გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვისაც კი“, ხოლო 7 აღნიშნავდა ყველაზე მაღალ სოციოეკონომიკურ სტატუსს - „არ განვიცდით მატერიალურ სირთულეებს“.

3 სომხეთის პირვანდელ ანგარიშში ეს მონაცემები დათვლილი იყო ისეთი პასუხის ვარიანტების გარეშე, როგორებიცაა „უარი პასუხზე“, „არ ვიცი“, ან „მიჭირს პასუხის გაცემა“. მონაცემთა შედარების მიზნით, მოცემულ ანგარიშში ეს მონაცემები დათვლილია პასუხების აღნიშნული ვარიანტების ჩათვლით, როგორც ეს აზერბაიჯანისა და საქართველოს ანგარიშებშია. აქ და სხვა მსგავს შემთხვევებში უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა არ ცვლის ზოგად ტენდენციებს და მიგნებების ლოგიკას სომხეთისთვის.

4 ვინაიდან ახალგაზრდებს შესაძლოა შემოსავლის ერთზე მეტი წყარო ჰქონდეთ, პროპორციული გადანაწილება არ ჯამდება 100 პროცენტად.

არ არის, რომ მშობლებზე ფინანსური დამოკიდებულება მცირდება ასაკის მატებასთან ერთად, და შესაბამისად, ასაკის მატებასთან ერთად ახალგაზრდებს უფრო ხშირად აქვთ საკუთარი შემოსავალი. საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით (38%), ახალგაზრდებს აზერბაიჯანსა (51%) და სომხეთში (49%) მეტი ფინანსური ავტონომია აქვთ. მსგავსი ტენდენცია იკვეთება სრულწლოვანების (18 წლის და უფროსი) შემთხვევაშიც. 24-29 წლის ასაკის ახალგაზრდებს უფრო ხშირად აქვთ საკუთარი შემოსავალი აზერბაიჯანში (72%), და სომხეთში (60%), საქართველოსთან შედარებით (52%) (დიაგრამა 1). ამასთან, სამივე ქვეყანაში იკვეთება გენდერული განსხვავებები. მამაკაცებს (62% სომხეთში, 64% აზერბაიჯანში, და 49% საქართველოში) უფრო ხშირად აქვთ საკუთარი შემოსავალი, ქალებთან შედარებით (37% სომხეთში, 36% აზერბაიჯანში, და 28% საქართველოში).

დიაგრამა 1. შემოსავლის წყაროები ქვეყნებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%, ნაჩვენებია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, სრული შერჩევა)[5]



ფინანსური დამოუკიდებლობა მჭიდროდ უკავშირდება განათლებასა და დასაქმებას, თუმცა ეს მაჩვენებლები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. 14-29 წლის ახალგაზრდების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში ყველაზე მაღალია საქართველოში (43%), ამას მოსდევს სომხეთი (38%), ბოლო ადგილზე კი არის აზერბაიჯანი (26%). რაც შეეხება ან თვით-დაფიქსირებული დასაქმების მაჩვენებელს (self-reported employment), ახალგაზრდების თითქმის ნახევარი აზერბაიჯანსა (50%) და სომხეთში (48%) აცხადებს, რომ ჩართულია შრომის ბაზარზე რაიმე ფორმით, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია (35%). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განათლებისა და დასაქმების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ასაკობრივ კატეგორიაზე, ვინაიდან 14-17 წლის ახალგაზრდები, ძირითადად, საშუალო სკოლაში ირიცხებიან, 18-24 წლის კატეგორიაში კი მრავალი ახალგაზრდა უმაღლეს განათლებას იღებს, და შესაბამისად, შრომის ბაზარზე ნაკლებად არის წარმოდგენილი.

5 სომხურ ანგარიშში დათვლილი მონაცემები (პასუხის ვარიანტების - „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ გამოკლებით) თავიდან არის დათვლილი, აზერბაიჯანსა და საქართველოში გამოყენებული მიდგომის კვალდაკვალ.

შესაბამისად, იმ ახალგაზრდების მაჩვენებელი, რომლებიც არც განათლებას იღებენ, არც რაიმე სასწავლო პროგრამაში არიან ჩართულნი, და არც მუშაობენ, ახალგაზრდების საქმიანობის უფრო ზუსტ სურათს იძლევა. ამ კატეგორიაში ექცევა საქართველოსა (31%) და სომხეთში (31%) მცხოვრები ახალგაზრდების თითქმის მესამედი, და აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდების მეოთხედი (25%). სომხეთსა და საქართველოში ამ კატეგორიაში წარმოდგენილი ახალგაზრდების რიცხვი იმატებს ასაკთან ერთად (დიაგრამა 2). ნაწილობრივ ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ 24 წელს მიღწეული ახალგაზრდები სომხეთსა და საქართველოში, ძირითადად, სწავლას ასრულებენ და შრომის ბაზარზე ინტეგრაცია უჭირთ. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანში 18-24 წლის ახალგაზრდების მცირე ნაწილია ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, რაც ნიშნავს, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა უკვე აქტიურია შრომის ბაზარზე, თუმცა, ამ ვარაუდის დასასაბუთებლად დამატებითი კვლევაა საჭირო. გენდერული განსხვავებები აქაც გვხვდება. ქალები უფრო ხშირად არიან განათლებისა და დასაქმების მიღმა დარჩენილნი (42% სომხეთში, 39% აზერბაიჯანში, 37% საქართველოში), კაცებთან შედარებით (19% სომხეთში, 12% აზერბაიჯანში, 26% საქართველოში).

დიაგრამა 2. განათლებასა და დასაქმებას მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების (NEETS) წილი ქვეყნებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდების სოციოეკონომიკური მახასიათებლები რომ შევაჯამოთ, რესპონდენტების უმრავლესობა სამივე ქვეყანაში საკუთარ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოზე ოდნავ მაღალს, და მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა სხვათა მსგავსია. საკუთარი შემოსავლის ქონის მიუხედავად, ახალგაზრდები, მართალია სხვადასხვა მასშტაბით, მაგრამ მაინც რჩებიან დამოკიდებულნი მშობლების დახმარებაზე. ახალგაზრდები აზერბაიჯანსა და სომხეთში შედარებით უფრო ხშირად არიან ფინანსურად დამოუკიდებელნი, საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. ნაწილობრივ, შესაძლოა ეს იმით აიხსნას, რომ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ახალგაზრდები საქართველოში უფრო მეტად არიან ჩართულნი უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში და შესაბამისად, ნაკლებად მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, თუმცა ეს ვარაუდი დამატებით, უშუალოდ შრომის ბაზარსა და განათლებაზე ფოკუსირებულ კვლევას საჭიროებს. სა-

მხრეთ კავკასიაში, ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე არც მუშაობს და არც სწავლობს და ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. ამასთან, გენდერული განსხვავებები იკვეთება სამივე ქვეყანაში. ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად არიან დარჩენილნი დასაქმებასა და განათლებას მიღმა (NEET), და უფრო იშვიათად აქვთ საკუთარი შემოსავალი, მამაკაცებთან შედარებით.

დემოკრატია და მმართველობა

ახალგაზრდების უმრავლესობა დემოკრატიას დადებითად აფასებს და მხარს უჭერს დემოკრატიის იდეას, თუმცა სხვადასხვა მასშტაბით. საქართველოში, ახალგაზრდების 75% ნაწილობრივ ან სრულად უჭერს მხარს მმართველობის დემოკრატიულ ფორმას, სომხეთში ეს მაჩვენებელი 51%, აზერბაიჯანში კი - 54%. ახალგაზრდების უმრავლესობა აზერბაიჯანში (53%) და დიდი ნაწილი სომხეთსა (38%) და საქართველოში (44%), დადებითად აფასებს დემოკრატიის ამჟამინდელ მდგომარეობას საკუთარ ქვეყნებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სომხეთისა და საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდების მეოთხედზე ოდნავ მეტს (28%) აქვს მძლავრი უარყოფითი დამოკიდებულებაქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობის მიმართ და არც დემოკრატიას მიიჩნევს მმართველობის საუკეთესო ფორმად.

დიაგრამა 3. დემოკრატიის აღქმა (%, სრული შერჩევა)



თვისებრივი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ სამივე ქვეყანაში ახალგაზრდებისთვის დემოკრატია ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა თანასწორობა, ერთობა, პატივისცემა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. საქართველოში ისიც აღინიშნა, რომ დემოკრატია ნიშნავს ცხოვრების მაღალ სტანდარტს და ხალხის მმართველობას. სომხეთში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დროს, ახალგაზრდებმა ასევე ახსენეს კანონის მორჩილება და განათლების მაღალი დონე. აზერბაიჯანში კი ახალგაზრდები დემოკრატიას უკავშირებენ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, დამოუკიდებელი ცხოვრების წესს, და

რელიგიის თავისუფლებას. სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდები დემოკრატიის ცნებას, დიდწილად, დასავლური პერსპექტივიდან ხედავენ. მათთვის დემოკრატიის მაგალითები, ძირითადად, არის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, კანადა, შვეიცარია, და სხვა ევროპული სახელმწიფოები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები სამივე ქვეყანაში დემოკრატიას მხარს უჭერენ, პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია. როგორც სომხეთში (40%), ისე აზერბაიჯანსა (46%) და საქართველოში (38%) ახალგაზრდების მხოლოდ უმცირესობა ინტერესდება პოლიტიკით. საინტერესოა, რომ თუ სომხეთსა და საქართველოში გენდერის ნიშნით სტატისტიკური განსხვავებები არ აღინიშნება, აზერბაიჯანში, ქალებთან შედარებით (40%), მეტი მამაკაცი (52%) ავლენს მცირე ინტერესს მაინც პოლიტიკის მიმართ. კიდევ უფრო დაბალია ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა. გამოკითხვის დროს, ახალგაზრდებს რვა სხვადასხვა აქტივობიაში მონაწილეობის შესახებ დაუსვეს კითხვები.[6] პოლიტიკურ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობის დონის განსასაზღვრად, აღნიშნული კითხვების საფუძველზე შემუშავდა 8 ქულიანი ინდექსი, რომელზეც 0 ქულა ნიშნავს, რომ ახალგაზრდას არცერთ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა, 8 კი ნიშნავს მონაწილეობას ყველა ჩამოთვლილ აქტივობაში. საშუალო ქულა ყველა ქვეყნისთვის დაბალია. ყველაზე დაბალი საშუალო ქულა აქვს სომხეთს (0.54), ამას მოსდევს აზერბაიჯანი (0.59), საქართველოში კი საშუალო ქულა შედარებით მაღალია (0.82). ის, რომ ინდექსის ქულა ერთსაც კი ვერ აღწევს, მედიანა კი 0 ქულაა, მიუთითებს ახალგაზრდების პასიურობასა და პოლიტიკური პროცესებიდან მათ გათიშულობაზე. ფოკუს ჯგუფების დროს, ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ პოლიტიკური მონაწილეობა, მათ შორის არჩევნებზე ხმის მიცემა, დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ბევრი კვლავ თავს იკავებს პოლიტიკაში ჩართულობისაგან. მონაწილეებმა სომხეთიდან და საქართველოდან ყურადღება გაამახვილეს სამართლიანი და მშვიდობიანი პოლიტიკური ქმედების, პროტესტისა და დემონსტრაციის მნიშვნელობაზე დემოკრატიისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. ამ რესპონდენტების აზრით, საპროტესტო აქციები შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტები, რათა უბიძგოს მთავრობა გარკვეული ქმედებებისკენ. თუმცა, გამოიკვეთა პესიმისტური განწყობებიც პროტესტის, როგორც ხელშესახები ცვლილების მისაღწევად ეფექტური საშუალების მიმართ.

პოლიტიკური პროცესებისგან ახალგაზრდების გათიშულობაზე მეტყველებს რაოდენობრივი მონაცემებიც. სომხეთსა (65%) და საქართველოში (63%), ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები ან მწირად, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში ეს მონაცემი შედარებით დაბალია, ახალგაზრდების 30% მაინც მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები მწირად, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი პოლიტიკაში, ხოლო 30% თავს იკავებს პასუხისგან, ან უჭირს პასუხის გაცემა. გარკვეულწილად გათიშულობასა და გულგრილობაზე მიუთითებს ისიც, რომ იმ ახალგაზრდების უმრავლესობაც კი, რომლებიც რაიმე ინტერესს მაინც აფიქსირებენ პოლიტიკის მიმართ, ძალიან იშვიათად, ან არასდროს განიხილავენ პოლიტიკას მეგობრებთან და თანატოლებთან. სომხეთში ეს მაჩვენებელი 77% (23% არასდროს და 54% იშვიათად), საქარ-

6 მონაწილეობა მიიღეთ დასახლების / სამეზობლოს პრობლემის გადაჭრაში; მონაწილეობდით მოხალისეობრივ ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობებში; შემოწირულობა გააკეთეთ სოციალური ან პოლიტიკური ორგანიზაციისთვის*; ხელი მოაწერეთ პოლიტიკური მოთხოვნების სიას / ონლაინ პეტიციას *; შეწყვიტეთ რაიმეს ყიდვა პოლიტიკური ან გარემოს დაცვის მიზეზის გამო; ონლაინ საჯარო სივრცეში გამოხატეთ აზრი/მონაწილეობა მიიღეთ დებატებში (მაგ.: სოციალურ ქსელში, ფორუმზე, ა.შ.); მუშაობდით პოლიტიკურ პარტიაში ან პოლიტიკურ ჯგუფში*; მონაწილეობა მიიღეთ დემონსტრაციაში*. ფიფქის სიმბოლოთი აღნიშნული კითხვები დაესვა მხოლოდ 16 წლის და უფროს რესპონდენტებს.

თველოში 76% (25% არასდროს და 51% იშვიათად), აზერბაიჯანში კი 70% (6% არასდროს და 64% იშვიათად). ამასთან, ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი გეგმავს პოლიტიკაში აქტიურად ჩართვას. კითხვას, ისურვებდნენ თუ არა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, ახალგაზრდების მეხუთედზე ნაკლები (სომხეთსა და აზერბაიჯანში 18%, საქართველოში კი 17%) პასუხობს დადებითად.

პოლიტიკის მიმართ დაბალ ინტერესთან და დაბალ პოლიტიკურ მონაწილეობასთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდები ინსტიტუტების მიმართ დაბალი ნდობითაც გამოირჩევიან. შეფასებული ათი ინსტიტუტიდან, მხოლოდ ჯარი სარგებლობს მაღალი ნდობით ახალგაზრდებს შორის სამივე ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ნდობა სხვა პოლიტიკური და საჯარო აქტორების მიმართ, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები, მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, და პროფკავშირები, ძალიან დაბალია (დიაგრამა 4). სომხეთსა (17%) და საქართველოში (27%) რესპონდენტების მხოლოდ უმცირესობა უცხადებს მხარდაჭერას ეროვნულ მთავრობებს, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში 70%. მსგავსად, თუ აზერბაიჯანში პრეზიდენტი ახალგაზრდების უპირობო ნდობით სარგებლობს (93%), სომხეთსა (17%) და საქართველოში (24%) ეს მაჩვენებლები რადიკალურად განსხვავდება.[7] რაც შეეხება ეკლესიასა და რელიგიურ ინსტიტუტებს, ახალგაზრდები სომხეთსა (62%) და საქართველოში (67%) მათ მიმართ მაღალი ნდობით გამოირჩევიან, აზერბაიჯანში კი ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა (42%). კვლევა აჩვენებს, რომ აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ხშირად თავს იკავებენ პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პროფკავშირებისა თუ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის შეფასებისგან, ან უჭირთ პასუხის გაცემა (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს? (%, სრული შერჩევა)



7 აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, რომელიც საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სომხეთი და საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკებია და პრეზიდენტებს აღმასრულებელი ძალაუფლება აღარ აქვთ.

დიაგრამა 4. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს? (%, სრული შერჩევა)



უფრო ზუსტ და ყოვლისმომცველ სურათს გვიხატავს ინსტიტუციური ნდობის მაჩვენებელი, რომელიც ზემოთ ხსენებული კითხვების საფუძველზეა შემუშავებული. ინდექსის ინტერპრეტაცია ძალიან მარტივია: როდესაც ინდექსის ქულა ნულს უდრის, რესპონდენტი ან არცერთ ინსტიტუტს არ ენდობა, ან უჭირს ნდობის განსაზღვრა, ხოლო 30 ქულა ყველა ინსტიტუტის მიმართ სრულ ნდობაზე მიუთითებს. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ინდექსის ქულა, მით უფრო მაღალია ჯამური ინსტიტუციური ნდობა. აზერბაიჯანს ყველაზე მაღალი საშუალო ქულა აქვს - 16.2, რაც ინდექსის თეორიულ მედიანაზე ოდნავ მაღალია. საქართველოს საშუალო ქულაა 11.7 - ინდექსის თეორიულ მედიანაზე დაბალი მაჩვენებელი. ყველაზე დაბალი საშუალო ქულა აქვს სომხეთს - 10.7. საინტერესოა, რომ სამივე ქვეყანაში, ქალები (სომხეთში 11.0; აზერბაიჯანში 16.4; საქართველოში 12.3) ინსტიტუტების მიმართ უფრო მაღალი ნდობით გამოირჩევიან მამაკაცებთან შედარებით (სომხეთში 10.4; აზერბაიჯანში 15.9; საქართველოში 11.1).

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ახალგაზრდებისთვის საზიარაოა დაბალი პოლიტიკური ჩართულობა და ინსტიტუტების მიმართ დაბალი ნდობა, მათ მიერ საკუთარ ქვეყნებში არსებული პრობლემების აღქმა განსხვავდება. ახალგაზრდებს აზერბაიჯანსა და საქართველოში უფრო სოციოეკონომიკური საკითხები აწუხებთ, სომხეთში კი - უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა (დიაგრამა 5). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. ამდენად, ბუნებრივია, რომ სომხეთისთვის მეზობელ ქვეყნებთან კონფლიქტი (19%) და ტერიტორიული მთლიანობა (15%) ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები იყო, მაშინ, როდესაც ტერიტორიული მთლიანობა აზერბაიჯანში პირველ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ახალგაზრდების 11% დაასახელა, მეორე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად კი - 45%. კვლევის თვისებრივი ეტაპი ადასტურებს, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში ფოკუს ჯგუფის დისკუსიების დროს „მთიანი ყარაბაღის ომმა“ ძლიერი რეზონანსი გამოიწვია. რაც შეეხება საქართველოს, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა უმუშევრობა (42% ასახელებს მნიშვნელობით პირველ და 29% - მნიშვნელობით მეორე პრობლემად), და ფასების ზრდა (30%

ასახელებს მნიშვნელობით პირველ და 31% - მნიშვნელობით მეორე პრობლემად). ფასების ზრდა აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია (58%). ამასთან, საქართველოში ახალგაზრდების 9% ასახელებს განათლებას, როგორც მნიშვნელობით პირველ პრობლემას, 12% კი - როგორც მნიშვნელობით მეორე პრობლემას. ახალგაზრდებმა ფოკუს ჯგუფში მიმდინარე დისკუსიის დროსაც გაამახვილეს ყურადღება ამჟამად მათთვის ორი მნიშვნელოვანი საკითხის - ეკონომიკური განვითარებისა და საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთმიმართებაზე.

დიაგრამა 5. რა არის ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი/რიგით მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ამჟამად? (%, სრული შერჩევა)



რომ შევაჯამოთ, ახალგაზრდების უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი დემოკრატიის მიმართ. მათთვის დემოკრატია ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა თანასწორობა და ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლებები. თუმცა, დემოკრატიის მხარდაჭერის ფონზე, ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობა და მათი მხრიდან ინსტიტუტების ნდობა მნიშვნელოვნად დაბალია. კვლევა აჩვენებს, რომ ახალგაზრდები პოლიტიკისგან გათიშულები, დისტანცირებულები, გულგრილები არიან. ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები ეროვნულ პოლიტიკაში არ არის გათვალისწინებული. აზერბაიჯანსა და საქართველოში, სოციოეკონომიკური საკითხები მიიჩნევა ქვეყნის მთავარ გამოწვევებად, სომხეთში კი უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა - საკითხები, რომლებიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს ეხმიანება.

ახალგაზრდები და საგარეო პოლიტიკა

იმ გეოპოლიტიკურად ტურბულენტურ გარემოში, რომელშიც წინამდებარე კვლევა ჩატარდა, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდების გეოპოლიტიკური იდენტობები და მათი დამოკიდებულებები საგარეო პოლიტიკის მიმართ საკვლევად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია. კვლევის ფარგლებში, მონაცემები შეგროვდა ახალგაზრდების დამოკიდებულებებზე ევროპისა და მეზობელი ქვეყნების მიმართ, ისევე, როგორც საგარეო აქტორების როლზე მათი საზოგადოებების განვითარების პროცესში.

დიაგრამა 6. რა ხარისხით ეთანხმებით, რომ [...] ევროკული ქვეყანაა? (%, სრული შერჩევა)



დღეს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის წევრია, თუმცა მათი ინტეგრაციის პროცესი სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს, რაც შესაძლოა გამოკითხვის შედეგებზეც ასახულიყო. საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების თითქმის ორი მესამედი (62%) თანხმდება, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, სომხეთსა (30%) და აზერბაიჯანში (26%) ეს მაჩვენებელი თითქმის ნახევრდება (დიაგრამა 6). საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანში ახალგაზრდების მეოთხედზე მეტს (27%) უჭირს ან არ სურს პასუხის გაცემა. ამასთან, სომხეთში ახალგაზრდების 8%, აზერბაიჯანში კი - 9% ხედავს თავს, როგორც ევროპელს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 41%.

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში მიმდინარე დისკუსიების დროს მონაწილეები სომხეთსა და აზერბაიჯანიდან ხშირად საუბრობდნენ მათ ქვეყნებსა და ევროპას შორის არსებულ კულტურულ და ღირებულებით განსხვავებებზე. ამ განსხვავებების მიუხედავად, ახალგაზრდები სომხეთიდან მიიჩნევენ, რომ თანამედროვე სომხეთსა და ევროპას ბევრი აქვთ საერთო კულტურისა და ცხოვრების წესის თვალსაზრისით. აზერბაიჯანის შემთხვევაში, ახალგაზრდები ძირითადად კულტურულ განსხვავებებზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა მიიჩნევენ, რომ ევროპასთან კავშირების დამყარება ხელს შეუწყობდა ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონო-

მიკის განვითარებას. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული განსხვავებები გამოიკვეთა, ახალგაზრდებს შორის ყველაზე გავრცელებულია დისკურსი, რომ საქართველო ახლოს არის ევროპასთან კულტურულად და რომ მისი განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ახალგაზრდების შეხედულებები საგარეო პოლიტიკის მიმართ განსხვავდება. აზერბაიჯანში ახალგაზრდები ქვეყნის უახლოეს მეგობრად თურქეთს მიიჩნევენ (89%), სომხეთისთვის ყველაზე ახლო მეგობარი რუსეთია (50%), რომელსაც მოსდევს საფრანგეთი (14%). უნდა აღინიშნოს, რომ კვლევისთვის საველე სამუშაოები 2023 წლის სექტემბერში ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებამდე ჩატარდა. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები შესაძლოა მას მერე შეცვლილიყო. სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მოსაზრებები მეგობარ ქვეყნებთან დაკავშირებით მრავალფეროვანია. ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილი ახლო მეგობრად მიიჩნევს უკრაინას (28%), რომელსაც მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები (18%), და თურქეთი (11%). საქართველოსა და სომხეთში ბევრი იმ მოსაზრებებსაც იზიარებს, რომ მათ ქვეყნებს მეგობრები არ ჰყავთ. ამ მოსაზრებას დაახლოებით ხუთიდან ერთი ახალგაზრდა ემხრობა - საქართველოში ახალგაზრდების 19%, სომხეთში კი - 22% (დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. თქვენი შეხედულებით, რომელი ქვეყანაა [...] ყველაზე ახლო მეგობარი (%, რესპონდენტებს შეეძლოთ მხოლოდ ერთი პასუხის არჩევა, სრული შერჩევა)



ახალგაზრდების შეხედულებები საგარეო პოლიტიკაზე აისახება სხვადასხვა ქვეყანასთან სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ წარმოდგენებზეც. სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდების ყველაზე დიდი წილისთვის რუსეთი არის უმთავრესი აქტორი ეროვნული უსაფრთხოების (49%), ეკონომიკური ზრდის (34%), და ადამიანის უფლებების დაცვის (32%) ხელშეწყობის თვალსაზრისით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ 2023 წლის სექტემბერში ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებს, ეს შეხედულებები შესაძლოა შეცვლილიყო. სომხეთში მეორე უმთავრეს აქტორად ეკონომიკური ზრდისა (24%) და ადამიანის უფლებების დაცვის (30%) თვალსაზრისით მიიჩნევა ამერიკის შეერთებული შტატები. აზერბაიჯანში უმთავრეს აქტორად ეკონომიკური ზრდის (86%), ადამიანის უფლებების დაცვის (80%), და ეროვნული უსაფრთხოების (90%) უზრუნველყოფის თვალსაზრისით სახელდება თურქეთი. რაც შეეხება საქართველოს, ყველა თვალსაზრისით განვითარების ხელშემწყობ მთავარ აქტორებად მოიაზრება ევროკავშირის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სომხეთსა (7%) და აზერბაიჯანში (28%) საქართველოც მიიჩნევა ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობად (დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. თქვენი აზრით, ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომლებთან თანამშრომლობა შეუწყობს ხელს ... (%, აირჩიეთ ყველა შესაბამისი ქვეყანა, სრული შერჩევა, გამოტანილია მხოლოდ ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხები)



ახალგაზრდებს სამივე ქვეყანაში საკმაოდ მკაფიო წარმოდგენები აქვთ შესაძლო საფრთხეების შესახებ: საქართველოში ეროვნული ღირებულებებისთვის (72%), უსაფრთხოებისთვის (78%), სახელმწიფოებრიობისთვის (84%) და ეკონომიკური სისტემისთვის (74%) ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევა რუსეთი. აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევენ სომხეთს, სომხეთში კი ახალგაზრდების მოსაზრებები თანაბრად იყოფა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. თქვენი აზრით, ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომლებთან თანამშრომლობა შეუძლია საფრთხეს ... (%, აირჩიეთ ყველა შესაბამისი ქვეყანა, სრული შერჩევა, გამოტანილია მხოლოდ ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხები)



საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ ახალგაზრდების შეხედულებები სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში რადიკალურად განსხვავდება. თუ ახალგაზრდები საქართველოში ძირითადად პროდასავლურად არიან განწყობილნი, ემხრობიან საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში, რუსეთს კი ცალსახად მნიშვნელოვან საფრთხედ მიიჩნევენ ქვეყნის განვითარებისთვის, სომხეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საგარეო პოლიტიკის შესახებ შეხედულებები, ძირითადად, ტრიალებს ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობის გარშემო. აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდები მთავარ მოკავშირედ თურქეთს, მთავარ საფრთხედ კი სომხეთს მიიჩნევენ. ამის საპირისპიროდ, სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდების დიდი ნაწილი მოკავშირედ რუსეთს აღიქვამს, საფრთხედ კი თანაბრად ორივეს, როგორც აზერბაიჯანს, ისე თურქეთს. თუმცა ამ მონაცემების სიფრთხილით ინტერპრეტირება გვმართებს, ვინაიდან გამოკითხვა ჩატარდა 2023 წლის სექტემბერში ყარაბაღში სამხედრო ქმედებების დაწყებამდე. შესაბამისად, მას მერე ახალგაზრდების შეხედულებები შესაძლოა შეცვლილიყო.

დამოკიდებულებები რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების მიმართ

კვლევის ჩატარების პერიოდისთვის (გვიანი გაზაფხული - ადრეული ზაფხული 2022), 2020 წლის შეთანხმება ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ჯერ კიდევ ძალაში იყო. ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა სომხეთში მიიჩნევდა, რომ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში კონფლიქტის განახლება მოსალოდნელი იყო (40% - სრულად, 42% - გარკვეულწილად). 2023 წლის სექტემბრის სამხედრო ოპერაციებმა ეს შიშები გაამართლა. იგივე კითხვას აზერბაიჯანში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა სხვანაირად უპასუხეს. ახალგაზრდების ყველაზე დიდ ნაწილს ან გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა (29%), ან თავი შეიკავა პასუხისგან (7%). მხოლოდ 26% მიიჩნევდა, რომ კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა არსებობდა. ახალგაზრდები ორივე ქვეყანაში ნაკლებად ემხრობიან სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სატრანსპორტო კავშირების აღდგენას. ეს განწყობა უფრო ძლიერია ახალგაზრდებს შორის სომხეთში (59% სრულად ეწინააღმდეგება), აზერბაიჯანთან შედარებით (28% ეწინააღმდეგება სრულად). ამასთან, აზერბაიჯანში მცხოვრები ახალგაზრდების 22% საერთოდ არ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას ამ საკითხების გარშემო (დიაგრამა 10).

დიაგრამა 10. ემხრობით თუ ეწინააღმდეგებით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სატრანსპორტო კავშირების აღდგენას? (%, სრული შერჩევა)



გამოკითხვის დროს, როგორც სომხეთში, ისე აზერბაიჯანში ახალგაზრდებს ჰკითხეს რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ შემდეგ მოსაზრებას: „ერებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, უმჯობესია დავივიწყოთ რაც წარსულში მოხდა და ვიფიქროთ საერთო მომავალზე“. სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდები მეტად ემხრობიან ამ მოსაზრებას (41%), აზერბაიჯანში მცხოვრებ თანატოლებთან შედარებით (23%). თუმცა, ორივე შემთხვევაში, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ახალგაზრდების ნახევარზე მეტი - 54% სომხეთში და 56% აზერბაიჯანში. ზოგადად, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა დადებითად ფასდება და ამის მომხრეა სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდების 75%, აზერბაიჯანში კი - 47%. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლობის ეს პერსპექტივები გამორიცხავს თურქეთსა და აზერბაიჯანს სომხეთის შემთხვევაში, და სომხეთს აზერბაიჯანის შემთხვე-

ვაში. როდესაც სომხეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი ემატება სხვა ქვეყნების ჩამონათვალს, თანამშრომლობის სურვილი მნიშვნელოვნად მცირდება. სომხეთში ახალგაზრდების მხოლოდ 11% ემხრობა თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან, აზერბაიჯანისა და თურქეთის ჩათვლით, აზერბაიჯანში კი 9% ემხრობა თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან, სომხეთის ჩათვლით (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (%, სრული შერჩევა)



კვლევის ჩატარების პერიოდისთვის, 2020 წლის გამოცდილებებსა და ჭრილობებს ჯერ კიდევ მტკივნეულად განიცდიდა ორივე ქვეყნის საზოგადოება, და შედეგების ანალიზისას ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. ახალგაზრდები სომხეთში შიშობდნენ, რომ საომარი მოქმედებები გაგრძელდებოდა, შერიგების მიმართ მიმღეობა კი საშუალო იყო, ან საერთოდ არ არსებობდა. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ყარაბაღის საკითხი სომხეთის წინაშე დღეს არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. აზერბაიჯანში ჩატარებული ფოკუს ჯგუფები აჩვენებს, რომ ომმა იქაურ ახალგაზრდებზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, თუმცა, სომეხი თანატოლებისგან განსხვავებით, აზერბაიჯანში ახალგაზრდები მეტად არიან კონცენტრირებულნი ყარაბაღის აღდგენასა და ინტეგრაციაზე.თუმცა, სომეხი ახალგაზრდების მსგავსად, ახალგაზრდებს აზერბაიჯანშიც ნაკლები მიმღებლობა აქვთ შერიგებისა და თანამშრომლობის მიმართ.

დასკვნები

წინამდებარე შედარებითი კვლევა აანალიზებდა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ახალგაზრდები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი საკუთარი კეთილდღეობის მიმართ, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ რჩება დამოკიდებული მშობლების დახმარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური დამოუკიდებლობა იზრდება ასაკთან ერთად, უმუშევრობის დონე 18 წლის და უფრო უფროს ახალგაზრდებს შორის მნიშვნელოვნად მაღალია. სამხრეთ კავკასიაში, 14-29 წლის ახალგაზრდების ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე არც განათლებას იღებს, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული, და არც მუშაობს (NEET), რაც მნიშვნელოვანი გრძელვადიანი გამოწვევაა რეგიონის ქვეყნებისთვის. ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია ქალებისთვის, რომლებიც, რეგიონის სამივე ქვეყანაში, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად არიან ჩართულები საგანმანათლებლო სისტემასა თუ შრომის ბაზარზე, და საკუთარი შემოსავალიც ნაკლებად აქვთ.

დემოკრატიის გაცხადებული მხარდაჭერა საკმაოდ ძლიერია და ყველაზე მაღალია საქართველოში, რომელსაც მოსდევს სომხეთი და აზერბაიჯანი. ამის მიუხედავად, პოლიტიკაში მონაწილეობა და მის მიმართ ინტერესი ახალგაზრდებს შორის ძალიან დაბალია. პოლიტიკურ პასიურობასა და ჩართულობის დაბალ დონესთან ერთად, დაბალია ინსტიტუციური ნდობაც. ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები ეროვნულ პოლიტიკაში არ არის წარმოდგენილი, რაც პოლიტიკისგან გათიშვას განაპირობებს. ინსტიტუტებისადმი ნდობა სამივე ქვეყანაში დაბალია, თუმცა ქალები მცირედით უფრო მეტ ნდობას უცხადებენ ინსტიტუტებს, მამაკაცებთან შედარებით.

ახალგაზრდების შეხედულებები საგარეო პოლიტიკის შესახებ დიდწილად ეხმიანება მათი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გაცხადებულ მიზნებს, გამოცდილებებსა და ვალდებულებებს, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო 2022 წლის მაისი-ივლისის პერიოდისთვის, როდესაც კვლევა ჩატარდა. საქართველოში, რომელიც ყველაზე მეტად არის ინტეგრირებული ევროპულ სტრუქტურებში და რომლის გაცხადებული მიზანიც არის ევროკავშირში გაწევრიანება უახლეს მომავალში, ახალგაზრდებს მკაფიოდ გამოხატული პროევროპული და პროდასავლური სენტიმენტები აქვთ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით და ქვეყნისთვის მთავარ საფრთხედ რუსეთს მიიჩნევენ. ამის საპირისპიროდ, სომხეთსა და აზერბაიჯანში ახალგაზრდების დამოკიდებულებებს საგარეო პოლიტიკის მიმართ განსაზღვრავს ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა. სომხეთში მცხოვრები ახალგაზრდები აზერბაიჯანს მიიჩნევენ მთავარ საფრთხედ ეროვნული უსაფრთხოებისთვის, სახელმწიფოებრიობისთვის და ეროვნული ღირებულებებისთვის, აზერბაიჯანში კი - სომხეთს. ამ ფონზე, აზერბაიჯანელი ახალგაზრდები თურქეთს მიიჩნევენ მთავარ მოკავშირედ, სომხეთში კი ახალგაზრდების დიდ ნაწილს კვლავ რუსეთის იმედი აქვს, ყოველ შემთხვევაში ასე იყო კვლევის მიმდინარეობისას - 2022 წლის მაისი-ივნისის პერიოდში. სომხეთში ახალგაზრდების დიდი ნაწილი აგრეთვე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობას.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი და დაძაბულობა ახალგაზრდების შეხედულებებსა და მოლოდინებზეც აისახება. სომხეთში ახალგაზრდებს შორის ძლიერი იყო ყარაბაღში კონფლიქტის განახლების შიში, აზერბაიჯანში კი ახალგაზრდები ამ საკითხზე ნაკლებად ღელავენ. 2022 წლის მოცემულობით, სომხეთსა და აზერბაიჯანში ახალგაზრდები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პერსპექტივების მიმართ. შერიგება კი ისევ რჩება გამოწვევად, "ომის მემკვიდრეობის" ფონზე რომელიც კვლავ განსაზღვრავს ახალგაზრდების აღქმებს და ზღუდავს თანამშრომლობის სურვილს.

ავტორის შესახებ

რატი შუბლაძე, სოციოლოგიის დოქტორი რატი შუბლაძე არის მკვლევარი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ათ წელზე მეტი გამოცდილებით. რატი ფლობს სოციოლოგიის დოქტორის ხარისხს, რომელიც მან 2021 წელს დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2015 წლიდან ასწავლიდა სხვადასხვა ქართულ უნივერსიტეტში. ამჟამად აფილირებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA), სადაც სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელია. რატის აქვს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ორგანიზაციებში, აგრეთვე მონიტორინგისა და შეფასების საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება. რატის აგრეთვე აქვს მონაწილეობა მიღებული რიგ აკადემიურ კვლევით პროექტებში, რომლებიც სწავლობდნენ ახალგაზრდობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს. რატის აკადემიური ინტერესები მოიცავს არჩევნებს, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციას, ახალგაზრდულ კულტურას და ახალგაზრდების კვლევებს